რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

## ტელეფონი რედაქციისა № 363.

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდამ, ყოველ დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს.

ფასი გაზეთისა:

| | | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | — | 9 | 60 | 6 „ | — — — — | 6 | „ |
| 11 „ | — — — — | 9 | 50 | 5 „ | — — — — | 5 | 50 |
| 10 „ | — — — — | 8 | 75 | 4 „ | — — — — | 4 | 75 |
| 9 „ | — — — — | 8 | „ | 3 „ | — — — — | 3 | 50 |
| 8 „ | — — — — | 7 | 25 | 2 „ | — — — — | 2 | 75 |
| 7 „ | — — — — | 6 | 50 | 1 „ | — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედგე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება.

Магазинъ

## О. ЗИБЕРТА

*Дворцовая.*

Гравюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и Ко въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

серебрянныя вещи фабрики Мюллеръ въ Ригѣ.

Большой выборъ: *альбомовъ, дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ и т. под. *Мельхіоровыхъ вещей,* издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(40—3)

ქ. ქუთაისი.
ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 29 დეკემბერს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. ავალიშვილისა და ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანის და გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

## ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, გიორგაძე, აბულაძე, ნემო, ტყეშელაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩაქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ზროტასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ბერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი ს.ბ. თოფურია. (წ.)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

**სტოკჰოლმი.** ალფრედ ნობელის ანდერძი წაიკითხეს. ნობელს თავისი სიმდიდრე უანდერძებია სამეცნიერო გამოკვლევებისათვის. სარგებლიდან მიეცემათ ჯილდოები მთელის ქვეყნის საუკეთესო მეცნიერებს. ამბობენ, ნობელს აუარებელი სიმდიდრე დარჩაო.

**პლიმუტი.** გემს „დელტაზედ“, დინამიტი აფეთქდა. 40 კაცი წყალში ჩაცვივდა. ორი მოკვდა.

21 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა, საცენზურო წესდების 178 მუხლის ძალით აკრძალა ცალკე

ნომრობით გაყიდვა გაზეთის „რუსკია ვედომოსტისა".

**პარიზი.** საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მიულოცეს ახალი წელი. ბარონმა მორენჰეიმმა, ვითარცა უფროსმა წარმომადგენელმა ელჩებისა, გამოაცხადა სურვილი საფრანგეთისა და პრეზიდენტის კეთილ-დღეობისა.

**სტამბოლი.** ქალაქ უსკუბის მცხოვრებთა აღწერამ აღმოაჩინა, რომ იქ სცხოვრებს 120 ბერძენთა ოჯახობა და 30 სერბიელთა, ამიტომ ოსმალოს მთავრობამ ვერ გაბედა დაეკმაყოფილებინა სერბიელთა თხოვნა.

### გუშინდელი დეპეშა

20 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების გამო, ნება დართო, რომ მთელს იმპერიაში მოგროვდეს ფული ოსმალეთიდან რუსეთში გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ. შეწირულება უნდა მიიღონ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებმა და შეგროვილი ფული გადასცენ კავკასიის მთავარ-მართებელს, რომელიც ამ ფულს თითონ დაურიგებს გაჭირვებულ სომხებს.

**პეტერბურგი.** 20 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო სასახლეში 165 დეპუტაცია ქალაქებისა, სოფლებისა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა, რომელთაც მისს უდიდებულესობას მიულოცეს გვირგვინის კურთხევა.

---

# ახალი ამბავი

*** **ჩვეულებრივი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა,** როგორც სჩანს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ განცხადებიდამ, მოხდება 28 მაისს 1897 წელს.

*** **თოვლი ტფილისში.** გუშინდამ ქალაქში დიდი თოვლი დასდო. ამ ბოლოს დროს ერთობ კარგი ამინდები იყო და ახლა-კი, ვგონებთ, ნამდვილი ზამთარი დაიწყო.

*** **აქტი რეალურ სასწავლებელში.** გუშინ, კვირას, რეალურ სასწავლებელში წლიურ აქტზედ დაესწრო სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, ეგზარხოსი, კავკასიის მუფთი და სხვანი. ჯილდო მიიღეს შემდეგ მოწაფეებმა: ბერმა, მალაქიანცმა, იუზმაშევმა, ბალვერმა, ვაწაძემ, ლაზარევმა, ტაშერევმა, შტეინბერხერმა და ანდრიანოვმა.

*** **დამხრჩვალის გადარჩენა.** გუშინ, კვირას, დილის 11 საათზედ, ვიღაც კარპოვი, ცოტათი შექეიფიანებული, ბორანიდან მტკვარში გადავარდნილა და ის იყო სიონის პირდაპირ წყალმა დასძირა კიდეც, როდესაც ორი ბიჭი, აზიზოვი და როსტომოვი, ჩავარდა წყალში და გადაარჩინეს წყალ-წაღებული კარპოვი.

*** **ქალაქის აფთიაქი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სურს მისცეს ყველა ქალაქებს უფლება, რომ თითო აფთიაქის გახსნა შეეძლოთ ყოვლად დაუბკოლებრივ.

*** **უმავთულო ტელეგრაფი.** ლონდონის ფოსტების დირექტორმა პრისმა ამ დღეებში წაიკითხა თავისი მოხსენება შესახებ უმავთულო ტელეგრაფისა. ეს ტელეგრაფი მოქმედებს ჰაერის საშუალებით და უკვე მუშაობს ლონდონსა და რამდენსამე სხვა ქალაქებ შორის ინგლისში. ეხლა უნდათ ასეთი ტელეგრაფი ზღვაზე გაიყვანონ. პრისს სრული იმედი აქვს, რომ ეს საქმე მოხერხდებაო.

*** **თუნუქის საქმე ბათომში.** ფინანსთა სამინისტრომ ასე გადასწყვიტა თუნუქის საქმე ბათომში: 1) თუნუქის დარჩენილ ნაჭრებზედ ბაჟი არ გადახდეს, 2) ეს ნაჭრები გატანილ იქმნას საზღვარ გარედ, 3) გამოერთვას მექარხნეებს ბაჟი იმ თუნუქზედ, რომელიც რუსეთის იმპერიაში გაყიდულა.

*** **მოკვნეტილი ცხვირი.** 20 დეკემბერს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას კრება ჰქონდა, რომელსაც ექიმმა კიმონტმა მოახსენა შემდეგი გარემოება: წარსულს ნოემბრის თვის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისის მცხოვრებს ერთს ქალს მისმა სატრფომ, ჩვენის დროის ტარიელმა, ჩხუბის დროს ცხვირი მოაკვნიტა ნახევრამდის. პოლიციამ მაშინვე ახალი ნესტან-დარეჯანი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნა. სამი საათის შემდეგ პოლიციელმა მიიტანა სამკურნალოში მოკვნეტილი ცხვირიც, რომელიც სადღაც ნაგავში ეპოვნა. აი ეს ნაპოვნი და მოკვნეტილი ცხვირი ექიმმა კიმონტმა ისევ მიაკერა თავის ალაგას და ქალი ეხლა ისევ იმ მოხდენილის ცხვირით დაბძანდება, რომელიც ჰქონდა წინად. ის გარემოება, რომ მოკვნეტილმა ცხვირმა რამდენსამე საათს შეინახა სიცოცხლის ნიშნები და კვლავ შეუდუღდა სხეულს, დიდად აკვირვებს ექიმებს.

*** **მელოტებს კაი დარი უდგაზათ.** იმავე საზოგადოებას ექიმმა რუდენკომ მოახსენა, რომ ერთს დედაკაცს, რომელსაც სრულიად გასცვივდა თმა, ახალის წამლით „ტერეოიდინა"-თი კვლავ მოვვვარე მშვენიერი ხუჭუჭი თმაო.

*** **რაჭიდან** გვწერენ: სამის წლის წინად მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ორ-ორი სოფლის საზოგადოება შეერთებულიყვნენ და საერთოდ დაეარსებინათ ორ-კლასიანი სასწავლებლები. ხალხს, რა თქმა უნდა, ძრიელ მოეწონა ეს განკარგულება და სიამოვნებით მიეგება ამ ამბავს, მით უფრო, რომ ხარჯიც უმცირდებოდა თვითეულს, მაგრამ რაც გინდ კარგი და სასარგებლო განკარგულება იყოს, თუ-კი აღმსრულებელი არავინ არის; ხოლო სოფლის ცხოვრებაში საქმის აღმსრულებელიც და მეთაურიც, რა თქმა უნდა, მამასახლისია. სამწუხაროდ რაჭაში ყველგან არ იქმნა არჩეული შესაფერი მამასახლისი, მაგალითად ლიქორწმინდის და ხოტევის მამასახლისს ბევრი უჩივის: გლეხ-კაცობას მეტად სასტიკად ექცევაო და ბილეთის გაცემაზე თუ ქაღალდის შემოწმებაზე დაკანონიერებულ ორი შაურის მაგიერათ აბაზს ღებულობსო, რითაც შარშანდელის ზამთრით დაზარალებული ხალხი, მეტად შეწუხებულიაო. თუ ეგ ხმები მართალია, საჭიროა რომ დაუყოვნებლივ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერარს.

*** **დაბა ჩოხატაური,** (გურია). ჩვენ მივიღეთ ვ. ჩხიკვიშვილისაგან შემდეგი წერილი: „ჩოხატაური მდებარეობს საჯავახოს რკინის გზის სადგურიდგან 18 ვერსის მანძილზედ, სადაც გადის მშვენიერად მოკენჭული გზატკეცილი, მხოლოდ ერთი ურიგობა დაწესდა ამ გზაზედ: მგზავრთა სამიმოსვლო ფასი, თუმცა კანონიერი გარდაწყვეტილებით ოთხი აბაზი იყო, მაგრამ ეს დადგენილება დავიწყებიათ და თავად დაუდგენიათ კაცის თავზედ ერთი მანათი. ეს დალოცვილები იმის მაგიერად, რომ წრევანდელი უვაჴრობისა და მოუსავლობის გამო ფასი დაეკლოთ მისვლა მოსვლისა, ესენი პირ-იქით უმატებენ და რა უფლებით, მარტო ღმერთმა იცის. საჭიროა, რომ ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

ამას გარდა ჩოხატაურის ახლო-მახლო სოფლებში გახშირდა ცხენის ქურდობა. ქურდობამ მეტად შეაწუხა გლეხ-კაცობა. ჩვენში ზოგიერთი იმისთანა ღარიბი არის, რომ თავის სარჩენ წყაროთ ერთი ცხენილა ჰყავს აჩენილი, რომელზედაც დამოკიდებულია მათი ავლა-დიდება და ამისთანაების ცხენის მოპარვა სწორედ ყელის გამოჭრაა.

*** **ბედია.** (სამურზაყანო). ჩვენი ძველი დიდებული ბედიის ტაძარი ბერების ხელში გადადის. ამათ უკვე გამოგზავნეს ორი ბერი რუსეთიდან ამ მონასტრისათვის ადგილის დასათვალიერებლად და ადგილობრივის პირობების შესატყობად. გამოგზავნილებმა დაათვალიერეს ბედიის ტაძრის ადგილ-მდებარეება და ძალიან მოიწონეს. გარშემო დასახლებულ 30 კომლ გლეხებს განაჩენი შეაყენებინეს, რომლის ძალით ესენი ვალდებულნი არიან მომავალს მონასტერს დაუთმონ თავიანთი სამოსახლო ადგილები, თვითონ-კი აიყარნენ იქიდან და სხვაგან დასახლდნენ.

*** **ს. კოდორი.** (ნაესაკოვის საზოგადოება, სენაკის მაზრა) გაგვიღიმა ბედმა! შეიძლება ჩვენც ვეღირსოთ უფასო სამკითხველოს, რომლის დაარსება იკისრეს პატივცემულ აზნ. გრიგოლ და ალმასხან ჩაჩავებმა. მათ უკვე გაგზავნეს თხოვნა ქუთაისის გუბერნატორთან ნების გამოსათხოვათ. ვუსურვებ მათ ამ კეთილ განძრახვაში გამარჯვებას. მიზეზი ამ კეთილ საქმის დაწყებისა გახლავს ახლად კურს დამთავრებული თფილისის ტეხნიკურ სასწავლებელში ვლადიმერ ჩაჩავა, რომელმაც მისი ამხანაგების თუ ნაცნობების შემწეობით ტფილისში შეაგროვა ხუთას ცალზე მეტი სხვა-და-სხვა ქართული და რუსული წიგნები.—ეს წიგნები, ხსენებულ ჩაჩავამ ერთის წლის წინეთ გადასცა თვისს სახლი კაცს ბ. გრ. ჩაჩავას და დაავალა, რომ მას ეთავა უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკის დაარსება ჩვენ სოფელში, მაგრამ ამ დრომდის ვერ განხორციელდა სხვა-და-სხვა დამოუკიდებელ პატივსადებ მიზეზებისა გამო, რომლებსაც, ვგონებ, უკვე გადაათვალიერებდნენ «ცნობის ფურცელ"-ში № 53 დაბეჭდილ კორესპოდენციაში ნაესაკოვიდან.

დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ვლადიმერ ჩაჩავა, როგორც საძირკვლის დამსკვნელი ამისთანა კეთილ საქმისა, როგორიც არის უფასო სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკა. იმედია, შემდეგშიაც არ მოგვაკლებს თვალ-ყურს და დახმარებას.

*** **ბაღ ვენახის გაშენების თაობაზე სამეგრელოში** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ბ-ნ ტრიფონ კალანდარიშვილისაგან. „ბ-ნო რედაქტორო! „ცნობის ფურცლის»-ს მეორე ნომერში, სხვათა შორის, ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხეთ: სენაკის მაზრის სოფ. შხეფის მცხოვრებს აზნაურს ალექსანდრე ხოფერიას შემოუწირავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის ათი დღიური მამული, რათა ხსენებულმა საზოგადოებამ სამეგრელოში გააშენოს ბაღ-ვენახი და ჩვენს ხალხს შეასწავლოს ბაღოსნობა და სხვ.. ეს ყოვლად კეთილი აზრია. მით უმეტეს, რომ როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს სამეგრელოში ისევ ძველებურად, ადამის დროინდელ იარაღით, ამუშავებენ ნიადაგსა. ამიტომ ყოველგვარი მიწის მოსავალი წლითი-წლობით კლებულობს. ხალხიც თან-დათან ღატაკდება. რადგანაც უწინდელმა იარაღმა ვერ გაჭრა: შრომას ბევრს ნდომულობს და მოსავალს

ძირეს იძლევა; რის გამოც ხალხს
ული უცრუვდება ბალ-ვენახის გა-
ენებაზე და იმის მოვლაზედ ამი-
ომ კავკასიის სამეურნეო საზო-
ადოება დიდს მადლსა და ხელთ-
ქნელ ძეგლს დაიდგამს, როჴხსენებულ
ადგილში გამართავდეს მეურნეობას.
ემოწირული ადგილი მოსავლიანი
ა კარგია მდებარეობითაც. ხალხი
ამბავსა დიდის ალტაცებით ეგებე-
ა და გაიძახის: „ნეტავ, მოვლენ თუ
რა, ნასწავლი კაცები და ან
ვასწავლიან ჩვენს გამდიდრების
ზასა“-ო. თუ ამ გვარი დაწესებუ-
ება სადმე საჭიროა, უწინარეს
ოვლის სამეგრელოში უნდა და-
რსდეს. რადგანაც ხალხს ამგვარი
უნების სიძუნწის დროს დახმარება
ა წაქეზება ესაჭიროება. ამიტომ
აზოგადოება კარგს იზამს, რაც
შეიძლება ამ საქმეს მალე შეუდგე-
ოდეს და ჩვენს ნატვრასაც დაავგვირ-
ვინებდეს...

⁂ დ. აბაშაში (კვათანის საზო-
გადოებაა.) ამას წინედ ამოირჩიეს მა-
მასახლისად ყოვლად პატიოსანი და
ულ-მართალი კაცი პეხუ ქორჩილა-
ა. მაგრამ დიდ ხანს ვერ გასძლო ამ
თანამდებობაზე: გადასახადის მოკრე-
ვის დროს იმ ზომამდის გულ-ჩვი-
ლობა გამოიჩინა ისედაც წყალდი-
დობიდან, უშველებელი ზამთრიდან,
და მოუსავლობით დაზარალებულ
ხალხთან, რომ იძულებულ იყო
პითქმის თავის ჯიბიდან ფული და-
ედო იმათ გადასახადზე. ასე იყო,
თუ ისე მაინც ქვაბებისა და ნოხე-
ბის სახლიდგან გამოტანა სვინიდის
ვეშ ვერ მოახერხა, რის გამო დაუ-
ვიანდა ფულის შეგროვება. ამის
გამო ცოტა უსიამოვნობა მოუვიდა
უფროს პირებთან, რის გამო, თუმ-
ცა ჯერ დასრულებული არ ჰქონდა
ვადა სამსახურის, მამასახლისის თა-
ნამდებობიდან გადააყენეს. ხელ-მეო-
რედ ყრილობა მოახდინეს და უნდო-
დათ სხვა მამასახლისი ამოერჩიათ, მა-
გრამ ადგილობრივ მცხოვრებმა პა-
ტივცემის ნიშნად მის მეტი სხვა
არავინ მოისურვეს; თუ იქნება, ისევ
დარჩეს ვადის გათავებამდისო, მაგ-
რამ მამასახლისობა არც ქორჩილავამ
ინდომა და მიტომ ვადის გათავე-
ბამდის მის თანამდებობას ასრულებ-
და მისივე კანდიდატი ბათუ კაჭარა-
ვა. 8 დეკემბერს მაზრის უფროსის
თანაშემწის დასწრებით ამოირჩიეს
ახალი მამასახლისი ბ. ლუარსაბ თო-
ფურია, კაცი სწორედ კარგი ზნე-
ობიათის და პატიოსანი. თვით ამ
ახალი მამასახლისის მამა მთელი ათი
წელიწადი იყო წასულ ხანებში ამა-
ვე საზოგადოების მამასახლისად, რის-
თვისაც მიიღო ჯილდოც და დიდი
სიყვარული დაიმსახურა საზოგადოე-
ბისა. სრული იმედი უნდა ვიქონი-
ოთ, რომ ეს ახალი მამასახლისიც
მამის და წინანდელ მამასახლისის
კვალს დაადგება და ბეჯითად და სი-
ნიდისიერად ემსახურება საზოგადოე-
ბას. ჩვენში მამასახლისს ბევრ სიკე-
თის და მრავალ კარგ წეს-რიგის
შემოღება შეუძლია თავის სოფელსა
და საზოგადოებაში, თუ-კი იგი იშ-
რომებს და სიყვარულით მოეკიდება
თავისს საქმეს. ამ კრებაზე ბევრი
ცდილობდა მამასახლისის თანამდებო-
ბას და არც სხვა-და-სხვა ხრიკებს
თაკილობდნენ, მაგრამ საბედნიეროდ
ხალხი გამოფხიზლდა და თავის საქ
მეს ისე იჭერს, რომ შემდეგში სანა-
ნულად არ გაუხდეს—რადგან კარგად
ესმით ჩვენი ბრძნული ანდაზა: „რა-
საც დასთესავ, იმასვე მოიმკიო“.

⁂ ანგარიში. საქველ-მოქმედო
კომიტეტი ფოთის წმინდა ოლღის
საქალებო სკოლისა გვთხოვს დაბე-
ჭდოთ შემდეგი ანგარიში რუსულ-ქარ-
თულის წარმოდგენისა, რომელიც იყო
3 დეკემბერს 1896 წლისა სასარგებ-
ლოდ ფოთის წმინდა ოლღის სასწავ-
ლებლისა:

„შემოვიდა ბილეთების გასყიდვით,
სულ 209 მ. 56 კ. დაიხარჯა: მარ-
კების დ ბილეთებისათვის 14 მ. 95 კ.,
მებელის მიტან-მოტანა 2 მ., სცენის
მოწყობილებისა და გრიმისათვის 2 მ.
65 კ., განათება დარბაზისა რეპეტი-
ციის დროსაც 3 მ., მოსამსახურეებს
4 მ., პარიკმახერს—3 მ., აგენტს
დრამატიულის საზოგადოებისას ქ-ბ.
მრევლოვისას—2 მ., აფიშებისა და
ბილეთების დასაბეჭდი – 6 მ., მუსიკას
5 მ., წვრილმანი ხარჯები—1 მ. 85
კ. და სრულიად 44 მ. 45 კ.“

„წმინდა შემოსავალი 165 მ. 11 კ.
მიემატა იმ ფონდს, რომელიც არის
სასწავლებლის სახლის ასაშენებლად,
რომელიც წყალ-დიდობის შემდეგ მალი-
ან დაზიანდა“.

„კომიტეტი უცხადებს გულითადს
მადლობას იმ სცენის მოყვარულთა,
რომელთაც მიიღეს წარმოდგენაში მო-
ნაწილეობა; აგრეთვე ფოთის საზოგა-
დოებას, რომელიც თანაგრძნობით მო-
ეკიდა საქველ-მოქმედო საქმეს და წარ-
მოდგენის მოთავეთა და ფოთის კლუ-
ბის საბჭოსა დარბაზის უფასოდ დათ-
მობისათვის“.

ნამდვილთან თანასწორ არს. მდივანი კო-
მიტეტისა ს. მგალობლიშვილი.

---

## საკუთარი დეპეშა

ქუთაისი, 22 დეკემბერი. ეს ეს არის ქუთაისის პოლიც-მეისტერს ბ-ნ კონსტანტინე იოსების ძეს სვიმონოვს აფხაზეთში უპოვნია თავ. წულუკიძის ასული და იმისი მომტაცებელნი შეუპყრია. აგერ ერთი თვეა, რაც თავ. წულუკიძის ასულის მომტაცებელნი იმალებოდნენ იმერეთის სხვა-და-სხვა ადგილებში.

---


Еженедѣльный иллюстрированный журналъ

# ПРИРОДА И ЛЮДИ

Издается съ 1889 г.—Изданія годъ VIII.
(Пробный № высыл. за 7 коп. марку).
Подписной годъ начинается съ 1-го Ноября.

№ 1-й выйдетъ 7 Ноября 1896 г.

Содержаніе: Фритіофъ Нансенъ и его путешествія (съ рис.). В. Семенова.—Русская колонія на Тихомъ океанѣ. Ром. Н. Соколова.—Въ странѣ полумѣсяца. Очерки Турціи. Юрія Кази-Бека (съ рис.)—Алхимія. Д. Сеславина.—Фотографія души (съ рис.). Очеркъ В. Битнера.—Исторія одного русскаго эмигранта въ Америкѣ. Разсказъ Г. Сѣверцева.—Со всѣхъ концовъ свѣта.—Изъ области естествознанія.—Изъ области техники.—Хроника путешествій.

Подписная цѣна:
5 РУБ. безъ доставки.
Съ доставкою и пересылкою во всѣ города Россіи
ШЕСТЬ РУБЛЕЙ.
За границу 8 руб.

Журналъ „Природа и Люди“ знакомитъ читателей, въ живомъ и занимательномъ изложеніи, съ чудесами природы и подвигами человѣческаго ума, въ различныхъ отрасляхъ науки и промышленности; сообщаетъ, въ общедоступной формѣ, точныя свѣдѣнія о всѣхъ замѣчательныхъ открытіяхъ и изобрѣтеніяхъ; раскрываетъ прошлое человѣчества и рисуетъ картины будущаго прогресса людей; наконецъ, служитъ общепонятнымъ истолкователемъ современной жизни.

Годовые подписчики въ теченіи 1897 года получатъ:

**52** ЕЖЕНЕДѢЛЬНЫХЪ №№. Каждый номеръ, въ размѣрѣ 2 листовъ большаго формата (16 страницъ плотной печати), заключаетъ въ себѣ 6—8 большихъ статей, не исключая мелкихъ, и 8—12 художествен. рисунк.

**12** ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ КНИГЪ, изящно отпечатанныхъ на глазированной бумагѣ, съ иллюстраціями объемомъ каждая отъ 160 до 200 страницъ убористой печати.

Какъ по содержанію, такъ и по иллюстраціямъ журналъ „Природа и Люди“—единственное изданіе въ русской печати, и цѣнность однихъ приложеній равняется подписной цѣнѣ на журналъ „Природа и Люди“, такъ что только при большомъ количествѣ подписчиковъ редакція имѣетъ возможность дать *безплатно* столь цѣнное приложеніе, которое выходитъ подъ общимъ названіемъ

## «Полезная библіотека»

и въ наступающемъ году будетъ состоять изъ слѣдующихъ популярныхъ сочиненій:

1. **„На верблюдахъ“**. Очерки и картины изъ жизни въ Средней Азіи. Н. Уралова.
2. **„Какъ узнать характеръ человѣка“**. Опредѣленіе характера по чертамъ лица (физіогномія), по почерку (графологія), по рукамъ (хиромантія), по головѣ (краніологія) и т. д. Очерки Гр. Ф—та.

3 и 4 **„Натуралистъ на Ла-Платѣ“**. У. Г. Хэдсона. Съ рисунками. Перев. съ послѣдняго англійскаго изданія.

5. **„Наши родичи“**. (Изъ воспоминаній о славянскихъ земляхъ). Очерки и разсказы В. П. Желиховской.
6. **„Естественная исторія въ разсказахъ“**. Альфреда Мильса.
7. **„Общедоступная пиротехника“**. Руководство къ приготовленію домашними средствами фейерверковъ. Д. Озеркова. Со многими рисунками.
8. **„Современная Турція“**. Очерки и разсказы о царствѣ османовъ. Юря Кази-Бека.
9. **„Исторія электричества“**. Джона Менро. Пер. съ англ. подъ ред. Ив. Святскаго.
10. **„Во льдахъ и снѣгахъ“**. (Путешествіе на о-въ Колгуевъ). Перев. съ англ. А. Филиппова.
11. **„Исторія воздухоплаванія“**. По Л. Фигье и др. источникамъ, составилъ Гр. Ф—тъ.
12. **„Въ дебряхъ Азіи“**. Очерки экспедиціи генер.-м. Пѣвцова. Обработ. Н. Соколовъ.

Въ №№ журнала въ наступающемъ году будутъ помѣщены „ЛѢСНОЙ БРОДЯГА“. Очеркъ А. В. Елисѣева. «Русская колонія на Тихомъ океанѣ“. Романъ въ 3-хъ частяхъ Н. Н. Соколова. «Фритіофъ Нансенъ». Иллюстрированный очеркъ В. Семенова. „Пророческія видѣнія“. Очеркъ В. В. Битнера. «Погибшіе и погибающіе“. (Очерки изъ исторія допотопныхъ животныхъ). А. Карицкаго. „По роднымъ краямъ». Иллюстрированные очерки проф. Н. Ю. Зографа и проф. А. М. Никольскаго. «Симонъ Боливаръ». Очеркъ Ф. Волгина. „Выращиваніе растеній по волѣ человѣка“. Естественное объясненіе того чудовищнаго роста растеній, который наблюдался путешественниками въ «чудесахъ» индійскихъ факировъ. Очеркъ В. Битнера съ рис. „Исторія бани у разныхъ народовъ“. (Извлеченіе изъ книги д-ра С. Груздева). «На рубежѣ». Очерки Закаспійскаго края. Изъ записокъ туриста. Б. Потоцкаго. „Въ странѣ полумѣсяца“ Очерки и картины изъ современной жизни Турціи. Юрія Кази-Бека. „Астрономическіе.очерки“. К. Фламмаріона и проф. С. П. Глазенапа. „Откуда происходятъ мысли“. (Описаніе мозга и его дѣятельности). Л. Фигье. «Разсказы изъ американской жизни». Г. Сѣверцева. „Идеопластія“. (Очерки, въ которыхъ читатели найдутъ естественное объясненіе тѣхъ «чудесъ»медіумизма, которыя спириты называютъ«духами».Въ pendant къ очерку Идеопластія» будетъ идти статья «Фальсификація духовъ», гдѣ читатели ознакомятся съ разными поддѣлками и обманами профессіональныхъ медіумовъ и многихъ гг. спиритовъ). В. В. Битнера. «Піонеры электричества». Дж. Менро. «Столицы міра». Очерки В. П. Желиховской, М. А. Бернова и др. «Наши сосѣди». Очерки Китая, Персіи и Японіи. «Герой телеграфа». Дж. Менро.

Издатель П. Сойкинъ.—Редакторъ С. Груздевъ.

КОНТОРА и РЕДАКЦІЯ ЖУРНАЛА **ПРИРОДА и ЛЮДИ**
С.-Петербургъ, Стремянная, № 12 собств. д.

Разсрочка допускается не иначе, какъ при подпискѣ 3 р. и къ 1 мая остальные.
Для гг. служащихъ какъ въ казенныхъ, такъ и въ частныхъучрежденіяхъ, допускается разсрочка съ ручательствомъ гг. казначеевъ и управляющихъ.

**За 1889—1890 г. и 1896 г. журналъ весь разошелся**; 1891, 1892, 1893, 1894 и 1895 гг. остались въ небольшомъ колич. экземпл., цѣна которыхъ въ брошюров. видѣ, **со всѣми прилож. 4** р. за каждый годъ, а въ роскошн. переплетѣ **5** р. Перес. за 10 фунт. по вѣсу и разстоянію. (6—2)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

## გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანათათ, ხოლო გაგზავნით 8 მანათ. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანათ. სამის თვით გაუგზავნელად 2 მანათ., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი სამშაურად. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიანთ მიმართონ ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის, ვ. ბეჟანიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლაღიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში.—განჯაში: ალ. მიქაბერიძეს.—ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კოხრეიძეს.—მიხაილოვკაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიონეთში: ივ. ჩიბალაიშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს.—ჭიათურაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში: ყარ. ჩხეიძეს.

### რედაქციისაგან.

ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ახალ წლისათვის, ხელის მოწერის წინათ, ჰპირდებიან გამოცემის გაუმჯობესებას გარეგნივ და შინაარსით, ზოგი კი საჩუქარსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი აღსრულება სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. ჩვენ ვაუწყებთ „კვალის“ მკითხველებს, რომ რედაქციას მართალია წრეულს დაუგვიანდება პრემიის დარიგება, მაგრამ ყოველ ღონისძიებას იხმარს პირ-ნათლად გამოვიდეს ხელის-მომწერლებთ წინაშე.

გაზეთ „კვალის“ პროგრამის გაფართოებაზე უკვე დართულია ნება და ამით გაზეთს უფლება და საშუალება მიეცა სრული, ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის მსგავსად, მსჯელობა იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიურ საჭირ-ბოროტო კითხვებზედაც.

წელსაც ყველა თანამშრომლებმა აღგვითქვეს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეხება გარეგნივ გაუმჯობესებას, რედაქცია ღონისძიებისამებრ აქცევს ყურადღებას: ჩვენ ვიბარებთ კლიშეებს ყოველთვის ლონდონიდან, პეტერბურგიდან და ახლაც დაბარებული გვაქვს შტუტგარდიდან, ხოლო ტფილისში შეუძლებელია ხეირიანი ნახატების დაბეჭდვა, რადგან ჩვენი ცხოვრების მცოდნე მხატვრები თითქმის არა გვყავს და ლიტოგრაფიასაც ხშირად უფუჭდება სურათები.

მომავალ 1897 წ. „კვალის“ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიათ ისტორიული ალბომი (სურათები ჩვენი გამოჩენილი მეფეებისა, ისტორიულ პირთა, ძველი მონასტრებისა და ციხეების,—აღწერილით.)

(3—2)



ОТКРЫТ ПОДП ИСК на

# С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ

въ 1897 г.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ казенныхъ прибавленій.

| | на годъ. | 6 мѣс. | 3 мѣс. | 1 мѣс. к. |
|---|---|---|---|---|
| Съ достав. по гор. почтѣ | 16 р. — | 9 р.— | 4 р. 50 к. | 1 р. 80 „ |
| Съ пересылкою иногор. | 17 „ — | 10 „ — | 5 „ 50 „ | 2 „ — „ |
| За границу . . . . | 26 „ — | 14 „ — | 8 „ — „ | 3 „ — „ |

Съ казенными приб.

| | на годъ | 6 мѣс. |
|---|---|---|
| — — — | 18 р. — | 10 р.— |
| — — — | 19 „ — | 11 „ — |
| — — — | 28 „ — | 16 „ — |

Подписка на газету съ казенными прибавленіями принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

**Подписка принимается:** въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Мелье (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Петровскія линіи, № 61.

**Иногородные адресуютъ:** С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

Редакторъ-издатель Князь Э. Э. Ухтомскій.

(10—2)



Годъ изд. 3-й. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** 1897

Дешевое ежемѣсячное литературное изданіе

*выходитъ въ форматѣ и объемѣ большихъ дорогихъ литературныхъ ежемѣсячныхъ журналовъ подъ названіемъ:*

# ДОМАШНЯЯ БИБЛІОТЕКА

въ составъ книжекъ входятъ:

НОВЫЕ РОМАНЫ, ПОВѢСТИ и РАЗСКАЗЫ (историческіе и современные)

**Русскихъ и иностранныхъ писателей.**

Журналъ выходитъ подъ редакціею извѣстнаго писателя А. Михайлова (А. К. Шеллеръ)

Книги „Домашней Вибліотеки“ выходятъ ежемѣсячно аккуратно между первымъ и десятымъ числами, въ **форматѣ большихъ журналовъ** какъ напримѣръ: „Вѣстникъ Европы“, и др. въ размѣрѣ 20—25 листовъ (отъ 320—400 страницъ) убористой печати, что составитъ въ годъ болѣе 5.000 страницъ интереснаго чтенія, въ изящномъ изданіи.

„Домашняя Библіотека“ даетъ обильный и полезный матеріалъ для семейнаго чтенія, какъ для городскихъ и сельскихъ подписчиковъ, такъ и вообще для лицъ, не имѣющихъ возможности выписывать дорого стоющіе журналы.

Въ книгахъ „Домашней Библіотеки“ помѣщаются только новыя литературныя произведенія (русскихъ и иностранныхъ) писателей, а не перепечатки старыхъ сочиненій, какъ это практикуется въ нѣкоторыхъ изданіяхъ. Въ каждой книгѣ обязательно помѣщаются одинъ или два законченныхъ романа, а также научныя, сельско-хозяйственныя статьи и смѣсь.

Встрѣтивъ со стороны читателей какъ матеріальную поддержку, такъ и выраженіе сочувствія въ многочисленныхъ письмахъ, мы не остановимся и въ дальнѣйшихъ расходахъ, чтобы поставить журналъ въ рядъ лучшихъ и полезныхъ изданій. Съ этою цѣлью мы пригласили къ участію въ нашемъ изданіи извѣстныхъ писателей и журналистовъ, новыя литературныя произведенія которыхъ начнутся печатаніемъ съ первыхъ же книжекъ журнала.

**Для книгъ „Домашней Библіотеки“ пріобрѣтены слѣдующія новыя оригинальныя произведенія, извѣстныхъ и любимыхъ публикою русскихъ писателей:**

Михайловъ, А. (А. К. Шеллеръ). „Лѣсъ дремучій“, большой ром.—Соловьевъ, Всев. Серг. (авторъ романовъ „Сергѣй Горбатовъ“ и др.) „Угасшая звѣзда“, ром.—Полевой П. Н. „Странный анегдотъ“, большая повѣсть.—Ясинскій, І. І. („Максимъ Бѣлинскій“). „Ясное утро“ большой романъ.—Случевскій К. К. „Мой дядя“, разсказъ.—Чеховъ А. П. „Контрабандисты“, больш. ром.—Голицынъ, Д. П. князь („Муравлинъ“) „Рѣзаниновы“. Ром. изъ больш. свѣта.—Гнѣдичъ, П. П. „Разгромъ“, комедія.—Волконскій, М. Н. князь (бывшій редакторъ „Нивы“). „Дуэль“, повѣсть.—Станюковичъ, К. М. Разсказъ.—Баранцевичъ, К. С. Большой разсказъ.—Тихановъ, В. А. (бывшій редакторъ „Сѣвера“) „Нехорошее дѣло“, романъ.—Щегловъ-Леонтьевъ, И. Л. „Неудача“, повѣсть.—Станицкій (А. Е. Головачева) „Любимица“, повѣсть.—Величко, В. Л. „Принципы“, разсказъ.—Бажинъ, Н. Ѳ. „Часъ“ повѣсть.—Мережковскій, Д. С. „Святой городъ“, пов.—Назарьева, К. В. „Болотные огоньки“, больш. ром.—Рышковъ, В. А. „Старыя дѣвы“ повѣсть.—Тангіева, Е. А.. княгиня, „Чужая тайна“, больш. романъ.—Лебедевъ, В. П. «Стрѣлецъ царя Алексѣя Михайловича», историческая повѣсть.—Леманъ, А. И. „Подвигъ“, больш. ром.—Ѳедоровъ, А. М. „Въ степи“, больш. ром.—Яковлева, З. Ю. „Кто виноватъ“? романъ.—Чюмина, О. Н. „Злыя чары“, пов.—Красновъ, П. Н. „Между двухъ огней“, романъ.—Максимовъ, А. К. „Такъ суждено“, больш. ром.—Свѣтловъ, В. А. „Чорный призракъ“, повѣсть.—Заринъ, А. Е. „Призваніе“, больш. романъ.—Будищевъ, А. Н. „Рѣка Калхаисъ“, пов.—Ежовъ, М. Н. „Случайные гости“, пов.—Меньшиковъ Н. „Игра судьбы“, ром.—Уманецъ Е. О. „За что?“, повѣсть.—Гербановскій Т. М. „Солнышко пригрѣло“, разсказъ.—Якунинъ-Захарьинъ И. Н. „Сноха“ разск.—Леонтьевъ Н. В. „Бродяжка“. разск.—Гиппіусъ З. Н. „Неуловимая“, разск..—Майковъ М. „Друзья-соперники“, разск.—Измайловъ („Смоленскій“) А. А. „На зарѣ жизни“.—Иловайскій П. І. „Дочь ростовщика“, романъ.—Сѣверцовъ Г. Т. „Нравственныя калѣки“, пов.—Казибекъ Юрій. Разсказы изъ жизни черкесовъ до ихъ покоренія.—Аѳонасьевъ И. И. „Позорное наслѣдство“, романъ и проч.

**Въ приложеніяхъ журнала „Домашняя Библіотека“ будетъ, между прочимъ, напечатанъ новый большой романъ Жюля Верна.**

Подписная цѣна на „Домашнюю Библіотеку“ (съ доставкою по Имперіи) **На годъ (за 12 книгъ) 4 р. На полгода (за 6 книгъ) 2 р. 50 к.**

*Допускается разсрочка взносовъ по одному рублю, но впередъ за 2 мѣсяца*

Заграницу (на годъ) ВОСЕМЬ рублей.

**Главная контора: Спб., Невскій просп., у Аничкова моста, д. № 68—40**

(6—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიდ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნი